

# ნაკრასა და ჭუბერის თემების მცხოვრებთა ყოფისა და ბუნებრივი გარემოს ამსახველი ფოტოგამოფენა მოენყო

gazetididgorelebi.wordpress.com/2016/12/20/%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%99%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a1%

12/20/2016

დღეს, თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ესპანელი ფოტოხელოვანის, როზა ვრუმის ფოტო გამოფენა მოენყო სახელწოდებით "ჩვენ ვართ სვანეთი".

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა ზემო სვანეთის რეგიონის ნაკრასა და ჭუბერის თემების მცხოვრებთა ყოფისა და ბუნებრივი გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ თემების ტერიტორიაზე იგეგმება 135 მეტრი სიმაღლის ნენსკრაჰესის (280 მგვტ) პროექტის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნაკრასა და ჭუბერის თემების სასიცოცხლო გარემოს.

გამოფენასთან ერთად გაიმართა დისკუსია ზემო სვანეთის ბუნებრივი გარემოს, კულტურული მემკვიდრეობისა და მკვიდრი მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხებზე. ნაჩვენები იქნა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის ამსახველი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი.

ფოტოგამოფენამ უკვე მოიარა ესპანეთის ქალაქი მალაგა, ესტონეთის დედაქალაქი ტალინი და ჩეხეთის ქალაქები – პრაღა და ბრნო.


საქართველოში ფოტოგამოფენას უკვე უმასპინძლა ქ. რუსთავმა. დაგეგმილია ფოტოგამოფენის მოწყობა თბილისსა და ქუთაისშიც .

ფოტოგამოფენა თეთრინყაროში გასტანს 21 დეკემბრამდე.

პროექტის განმახორციელებლები არიან: ასოციაცია მწვანე ალტერნატივა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია გლობალური მწვანე გრანტების ფონდი.

(GLOBAL GREENGRANTS FUND)

პროექტის პარტნიორები არიან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელი (CEE Bankwatch Network), ბალკანეთის ველური ბუნების დაცვის საზოგადოება და სოციალური ფოტოგრაფიის ფონდი კავკასიაში.



[About these ads](#)

